საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2062 2017 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა საგენტომ თავის კომპეტენციაში შემავალი ეროვნული ეტალონების (მუშა ეტალონებისა და სანიმუშო გაზომვის საშუალებების) მოვლა-შენახვისა და საერთაშორისო დონეზე მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ დაკალიბრებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV 50400000 – სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) შესყიდვა 2017 წლის განმავლობაში განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საკუთარი სახსრებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080123746181117

 # 2571

15 / სექტემბერი / 2017 წ.

სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 13 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ SMP170002232 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ კომპეტენციაში შემავალი ეროვნული ეტალონების (მუშა ეტალონებისა და სანიმუშო გაზომვის საშუალებების) მოვლა-შენახვისა და საერთაშორისო დონეზე მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი დაკალიბრებასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV 50400000 - სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) შესყიდვა, ღირებულებით - 50000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ თავის საქმიანობას ახორციელებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებს. იგი პერიოდულად ახდენს გაზომვის საშუალებებისა და ეროვნული ეტალონების დაკალიბრებას მათი საერთაშორისოდ მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებულ მეტროლოგიურ ორგანიზაციებში.

როგორც მომართვიდან ირკვევა, 2016 წლიდან 2017 წლის ივნისის თვემდე სააგენტოში მოქმედებდა ევროპული მხარის მიერ დაფინანსებული შესყიდვის კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც, სააგენტოს გადაეცა მეტროლოგიური გამზომი საშუალებები. ხელსაწყოების გადმოცემის შემდეგ სააგენტოს თანამშრომლებს ევროპელმა ინსტრუქტორებმა ჩაუტარეს ტრენინგი. ტრენინგის დასრულების შემდეგ სააგენტომ შეიმუშავა პრიორიტეტული

მიმართულებები, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნას საერთაშორისო აღიარებაზე. სააგენტოს სპეციალისტებმა განახორციელეს ლაბორატორიებში არსებული ეტალონების, გაზომვის საშუალებებისა და გადმოცემული ხელსაწყოების შემოწმება მათი საექსპლუატაციო მდგომარეობის დასადგენად, რის შედეგადაც მოხდა გარკვეული პაკეტის მომზადება, იმის მიხედვით, თუ რომელი ხელსაწყოები საჭიროებდნენ მომსახურებას. აღნიშნული პაკეტის მომზადება მოხდა კომპლექსური ანალიზის შედეგად და გათვალისწინებულ იქნა ისეთი გარემოებებიც, რომელიც მხოლოდ ტექნიკური შემოწმების შემდეგ გამოიკვეთა. შემუშავებული პაკეტის მიხედვით, სააგენტომ მოახდინა ბაზრის გამოკვლევა. კვლევა განხორციელდა საერთაშორისო მასშტაბით, რაც მოითხოვდა მეტ დროს და რესურსებს. ჩატარებული კვლევის შესაბამისად, მოხდა შემოთავაზებული წინადადებების განხილვა და პოტენციური მიმწოდებლების შერჩევა.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ვინაიდან გაზომვის საშუალებებისა და ეროვნული ეტალონების დაკალიბრება ხორციელდება მათი საერთაშორისოდ მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს საზღვარგარეთ ეროვნულ მეტროლოგიურ უწყებებში, რომელთაც გააჩნიათ საერთაშორისო აღიარება. მხოლოდ აღნიშნულ ორგანიზაციებში დაკალიბრებული მეტროლოგიური ხელსაწყოები იქნება საერთაშორისო დონეზე მიკვლევადი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება, შესასყიდი მომსახურებების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული მომსახურებების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" კომპეტენციაში შემავალი ეროვნული ეტალონების (მუშა ეტალონებისა და სანიმუშო გაზომვის საშუალებების) მოვლა-შენახვისა და საერთაშორისო დონეზე მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი დაკალიბრებასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა.

ამასთან, აღნიშნული შესყიდვების განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, შესასყიდი მომსახურებების სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან გაზომვის საშუალებებისა და ეროვნული ეტალონების დაკალიბრება ხორციელდება მათი საერთაშორისოდ მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით და აღნიშნული მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს საზღვარგარეთ ეროვნულ მეტროლოგიურ უწყებებში, რომელთაც გააჩნიათ საერთაშორისო აღიარება.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ SMP170002232 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე